— 21 ოქტომბერს (ახ. სტ.) ქალ. მექსიკოში ამერიკის ვეკლას სასულმწიფოების წარმომადგენელთა კონგრესი უნდა მოსდეს. ჰონდურასისა და სანდომინგოს რესპუბლიკის გარდა დანარჩენმა რესპუბლიკებმა თავიანთ წარმომადგენლები კიდევ დანიშნეს. შრეზიდენტმა რეზველტმა შეერთებული შტატების დელეგატებს ინსტრუქცია მისცა. შრეზიდენტს დაუვალეობა, მარტო ისეთი საქმეები განისიღეთ, რაც ვეკლას სასულმწიფოებს ეინტერესებათო და მონროეს დეკრის თაზბასე ან უცხო სასულმწიფოებთან ურთიერთობის შესასებ მასაც ნუ ამოიღებთ, თორემ ამით ტუულათ გადავივიღებთ ამერიკის რესპუბლიკებსაო.

ისპანია. 1868 წელს 30 სექტემბერს, ისპანელებმა რეკოლეიფიას მოასდინეს და დედოფალი ისაბელას ისპანიადან განდევნეს. ამ დღის მოსავონებლათ ქალ. ბარსელანსა ლიბერალები დიდი მანიფესტაციის გამართვას აზრებენ. კლერიკალები თავიანთ მსრიავე აზრებენ კონტრ-მანიფესტაციის მოსდენას. შოლიცია სასტიკ ღონისძიებას მიიღებს, რომ უწესობა არა მოსდეს რაო.

საზრანბეთი. ასალი კანონის ძალით, ბერების არც ერთ კრებულს არა აქვს უფლება რაიმე ასალი საქმე დაიწყოს, თუ მთავრობისაგან ნება-რთვა არ აიღო. მთავრობის აზრით, რაც კი ბერებს ნებადაურთველათ სკოლები გაუსსნიათ, უნდა მოისზონ, ან არა და ბერებმა უოკელი სკოლისათვის ცალკე ნება რთვა უნდა აიღონ. თუ, ეს კანონი მართლაც ამნაირათ შესრულეს, მაშინ ცუდი დღე დაადგებათ ბერების სკოლებს. 1886 წლიდან დაწეული სასულმწიფო საბჭო თითქმის მუღამ უარს ეუბნებოდა ბერებს, როცა სკოლის დაარსების ნებას თხოვდენ ხოლმე; ალბათ, ამას იქითაც ასე მოსდება, და ამიტომ ბერების სკოლებს ცუდი ბედი მოკლის. ვეკლას კლერიკალური და ნაციონალისტური გასეთი მკაცრათ ჰგინავს ამასე მთავრობას.

— ვალდკ-რუსოს მთავრობა მუშების ჰენსიას კანონ-პროექტს ისილავს. კიდრე შარლამენტი დაიშლებოდა, რამდენიმე დეპუტატის რჩევით, შალატამ დაავალა მთავრობას: საფსუელის განმავლობაში გაიკეთ, რა აზრის არიან ამ კანონ-პროექტზე მუშების სახოგადობანა და კაპიტალისტების სინდიკატებო. მთავრობა ამის წინააღმდეგი იყო: რლას დროსია ვეკლას აზრის გაკება, როცა შარლამენტი კიდევ შეუდვა კანონ-პროექტის განსილვასო. მაგრამ შალატამ 20 ხმის უმეტესობით სასენებული დეპუტატების აზრი შეიწინაა. საფსუელში მუშების სახოგადობათა და კაპიტალისტების სინდიკატებმა თავიანთი აზრი გამოთქვეს და მომეტებულ ნაწილათ მთავრობის პროექტი დაიწუნეს. კაპიტალისტების სინდიკატებს უმეტეს ნაწილს შასუხი არ მიუციათ მთავრობისათვის, მაგრამ რომლებმაც კი შასუხი მისცეს, ერთხმათ დაიწუნეს მთავრობის პროექტი. მუშების სახოგადობასე უნდა ვთქვათ, რომ მსოფლოთ ამ სახოგადობათა ერთმა მკათედმა მოიწონა ეს პროექტი, სოფლის მუშებს სომ უფრო ნაკლებ მოწონებოდათ. კაპიტალისტებს ჰენსიის სსენებაც კი ეკავრებათ: ჰენსიები სულაც არა საჭიროო. ამვე დროს მუშები კიდევ ჩივიან, ძლიერ ცოტა ჰენსიას დანიშნული, და ამას გარდა მუშებს ჰენსიის თანსის შესადგენათ ფული არ უნდა ერთმოდეთო და სსე. ამ გარემოებამ მთავრობა დიდ გაჭიკრებაში ჩავლო. იქნება მთავრობამ თავის კანონ-პროექტი სულაც შეცვალოს. თუ ასე მოსდა, მაშინ შალატა სახოგადო არჩვენამდე ამ კანონ-პროექტის განსილვას ვეღარ მოასწრობს.

— შრომის საჭიროების წევრთა არჩევანი თითქმის და-

სრულდა. 60,000 კაპიტალისტს სულ 462 სინდიკატი აქვთ დაარსებული. ამ სინდიკატებს 6,000 ხმის უფლება აქვთ. არჩევანში მარტო 92 სინდიკატი მიიღო მონაწილეობა. ეს 92 სინდიკატი 28,000 კაპიტალისტის წარმომადგენელია და სულ 2,800 ხმის უფლება ჰქონდათ. 120,000 მეშას 487 სინდიკატი აქვს დაარსებული და 5,000 ხმის უფლება აქვს. მეშების სინდიკატთაგან არჩევანში მარტო 210 სინდიკატი მიიღო მონაწილეობა. ეს 210 სინდიკატი 80,000 მეშას წარმომადგენელია და 3,300 ხმის უფლება ჰქონდათ. როგორც ვხედავთ, ამომარჩეველთა უმეტესობას არ მიუღია მონაწილეობა არჩევანში. მაგრამ არჩევანისათვის არაა საჭირო, რომ კანდიდატმა კენჭის ახსოვეუტიური რიცხვი მიიღოს, ან უფრო გასაუბრო რომ ვთქვათ, არაა საჭირო, რომ არჩეული წევრი უსათუოთ გათუორდეს; ოღონდ თავის მოწინააღმდეგეზე მეტი თუთრი კენჭი ვი მიიღოს და არჩეულათ ითვლება. ამიტომ თუმცა ბევრმა მონაწილეობა არ მიიღო, არჩევანი მაინც მოხდა. შრომის საბჭოს 29 განუოფილება უნდა აერჩიათ: ამ რიცხვიდან 20 ამოუჩრქვიათ ვიდრე.

ფეხიციარია. მეშების საერთა-შორისო დამცველმა საზოგადოებამ 14 სექტემბერს, ქალაქ ბაზელში კონგრესი მოახდინა. პირველ კრებას 39 დელეგატი დაესწრო: 9 გერმანიიდან, 5 ავსტრიიდან, 3 ბელგიიდან, 5 საფრანგეთიდან, 4 იტალიიდან, 6 ჰოლანდიიდან, 7 შვეიცარიიდან. ოფიციალური წარმომადგენლები მარტო საფრანგეთის, ჰოლანდიის, შვეიცარიის და იტალიის მთავრობას გამოეგზავნათ. შახათის კრებას იმაზე ჰქონდა ბჭობა, თუ შრომის ბაურო დაეაწესათ ამისი მოქმედების საგანი აღეზიანათ. კრებამ დაადგინა: ამ ბიუროს მოქმედებას წმინდა მეტრიკული სასაითი უნდა ჰქონდეს. გარდა სსკა-და-სსკა წიგნების გამოცემისა და ცნობების შეკრებისა, საბჭოს დაევალება: გამოიკვლიოს, თუ რომელ ქვეყანაში რამდენს ამუშაებენ დედაკაცებს ქაჩსნებში დამით და რა შედეგი მოჰყვას ღამ-ღამობით შრომის აგრძაღვას; დაწვრილებითი სტატისტიკა შეადგინოს, თუ სსკა-და-სსკა ქვეყნებში რა ზარალი მოხდით და რამდენი მეშა აკვდება უბედურ შემთხვევისაგან. გამოიკვლიოს მუშაკელების რომელი დატვია მეშების ჯანმრთელობისათვის მახებელი და მეტადრე დიდი უურადლებით უნდა გამოიკვლიოს ის საქმეები, სადაც ტუვიისაგან დაძახებულ წამლებსა და თუთრ ფოსფორს სმარობენ.

იტალია. ერთი გაზეთის სიტყვით იტალიაში სულ 2000 ანარქისტი იქნება. ეს გამოცხადებული, ამჟამად ანარქისტია ამდენი, მაგრამ დაჯარული, ჩუმი ანარქისტების რიცხვი გაცილებით მეტია. ბოლო დროს მეშების საზოგადოებასა და ამსანაგობაში ანარქისტებმა მეტი გავლენა მოიპოვეს. მაკინდის მოკვლის შემდეგ, იტალიის პოლიტიკურმა წრეებმა ღაპარაკი დაიწყეს, ანარქისტების წინააღმდეგ სასტიკი განხილები გამოეცხადათ. კონსერვატორები თხოულობენ, კანონი გამოეცხადათ, რომ ანარქისტების მამდეგება ეგულები ნამდვილ ბოროტ-მოქმედებათ ითვლებოდნენ და ეგულები სასისლის სამართალში მიეცნენ. კონსერვატორები სუძრობა გაშეებით ცდილობენ, მთავრობაც მიიძსროს და თავიანთ აჯმური ასრები ასრულებინონ. მართალია ცნარდელის სამინისტრო ცოტა რბილათ იტყვება, მაგრამ არა მგონია, კონსერვატორების სასამოვნოთ, ესეთი სასტიკი განხილება შეადგინოს; ამისთანა განხილს სულ ერთად, ზალატა არ დაამტკიცებს.

სამხრეთი-აფრიკა. «მანხესტერ გარდინს»-ი სწერს: «ლონდონში იმედი აქვთ გადაწყვეტილი, რომ რბი წლეულს

გათავდეს. სამხრეთი აფრიკაში მეოფე აფინტრებსაც არა აქვთ იმედი, მომავალი ბედნიერი დღეები, შობა-ახალწელიწადი, რიგლისში გაატარონ. მთავრობა სსკა და სსკა ვაჭრებს ჯარისათვის საჭირო ნივთებსა და საქონელს უკეთავს. გაზეთებში სწერენ: ოფელი მოვარგოვით და ჯარის კაცებს საბედნიერდღეოთ საჩუქრები გაუგზავნათ.

კონეტუს.

ლ. ბერნედი

(დასასრული. — იხ. № 39).

დიახ, ღრმა ფიქრს მიეცა ოსკარი. აიჩიოს ცოდნა, მაშასადამე, უნდა იყოს მარად ყელთამდე გამაძლარი, ან და ძალზე მშვიერი. განა სწავლა-ცოდნა მას ბედნიერებას მოუპოვებს? არა, იგი ვადაუსხნის მას იმ საშინელ შავ ჯურღმულებს, რომლებშიაც სხვები ხედავენ მხოლოდ აყვავებულ წალკატებს. ნუთუ მე უნდა შევამცირო ისეთაც პატარა ჯგუფი ჩემის მეგობრებისა, ნუ თუ მე უნდა შევამცირო ისეთაც მცირე რიცხვი ჩემის საყვარელი ნაცნობებისა, ნუ თუ მე უნდა შევიძაგო ის, რაც ასე მიყვარდა აქნობამდე? განა ისე კი ობლიათ არა ვგრძობ ჩემ თავს ამ ჟამათაც? ოხ, არა, არა, სწავლა—ეს ერთი უსაშინელესი საჩუქარია კაცთადმი ღმერთების მიერ. ნაშ შორს ჩემგან, ცოდნავ! წარმოთქვა ოსკარმა და გადადვა იქით ცოდნის ჯაღო.

გონესტუსმა გულზე მიიკრა ყმაწვილი და უთხრა: «შენ გამარჯვებული გამოხველ უსაშინელეს ბრძოლიდან და აწი აღარ მეშინია მე შენის არჩევნისა». ამის შემდეგ ოსკარმა აიღო ხელში სიმდიდრე და გულცივით დაუშვა იგი თვის ფეხებთან. ოსკარს ძალაღა დაურჩა ასარჩევით— გახდეს ბატონი მთელის სამყაროსი! გააბედნიეროს რამდენიმე მილიონი ხალხი! შეიქნას საყვარელი და თავყანსაცემი რამდენიმე ათიათასი გულისა! დააჯილდოვოს კეთილნი და დასაჯოს ბოროტნი! დიახ, ეს ყველაზე საუკეთესო იარაღია, დიახ, ძალაა შენისი ისე, როგორც ვარდი! ვარდი... მაგრამ მისი ეკლები! განა ყვავილებში კი არ იმალება შხამქილა, ცბიერი გველი? განა რომელი მართავედა ქვეყანას ძლიერების კვერთხით? განა ეს კვერთხი თვით მისი მბრძანებელი არ იყო, ვიდრე სხვისა? მე ხომ არ შემოძლია ვიყო სხვებზე უკეთესი! მე შემოძლიან მხოლოდ ერთი, და ეს ერთი ის არის, რომ გავთელო ფეხ ქვეშ შენის გვირგვინი! ოსკარმა გადაავლო გვერდზე გვირგვინი.

— გმადლობ, მამაო, მე კმაყოფილი ვარ, მე არა მაქვს არაფრის სურვილი, უთხრა მან ბერიკაცს.

— არა მაქვს მე არაფრის სურვილიო, ამბობ შენ? მიუგო გაკვირვებულმა გონესტუსმა. ოსკარ, შენ კმაყოფილი ხარ მაგ გვარი მდგომარეობით, მაგრამ განა შენს მეტი აღარავინ არი ქვეყანაზე?

ოსკარი გაწითლდა. მას მოაგონდა თვისი დედ-მამა, და ძმები, ნათესავები, ნაცნობები და შემდეგ მთლათ ქვეყნიერება, მთელი მსოფლიო.

— რას აირჩევ შენ სხვებისთვის? შეეკითხა კვლავ გონესტუსი.

— ოხ, მამაო, მე არ შემოძლია გადაწყვიტო. ეს არჩევანი, მე გთხოვ, რომ ყოველი ადამიანი ბედნიერი იყოს.



გონეტუსს გაიღმა.

— მე არ შემიძლია ოსკარ შენი სურვილის ასრულება. კაცობრიობის ბედნიერება მხოლოდ სათნოებას შეუძლია. ოსკარი დაემხო მოხუცის წინ და ხელებ აპყრობილმა შეღალდა ათრთოლებული ხმით:

— მაშ მოჰვინე მათ სათნოება, რომ იყვნენ ისინი ბედნიერნი!

— არა შევილა, მე ეს არ შემიძლია, ნუ მთხოვ მაგას! ცოდვა არის გახრწნა, და გახრწნა კი წყაროა ცხოვრებისა. უთხრა მოხუცმა.

მაგრამ ოსკარს ამ ჟამათ ისე უყვარდა მთელი კაცობრიობა, ისე წყუროდა მისი მეცნიერება, რომ მას არ ესმოდა მოხუცის სიტყვები და ის გატაცებით უმეორებდა მოხუცს თვის თხოვნას: «გააბედნიერე, გააბედნიერე ტანჯული ადამიანი».

— გაიმეორე ეს სიტყვები სამჯერ. უბრძანა გონეტუსმა. ოსკარმა გაიმეორა.

— ასრულდეს სიტყვა შენი, წარმოთქვა მოხუცმა. მალე შუალამე იქნება. მე უნდა ვისარგებლო ამით, რადგანაც ამ დროს შემიძლია მე შევცვალო ქვეყანაზე ცხოვრების მსვლელობა ერთი ბრძანებით, ადექი ფეხზე! უბრძანა მან ოსკარს.

დაჰკრა შუალამის საათმა. გონეტუსმა თვის ჯაღოიანი ჯოხი გაიშვირა აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთისაკენ, სამხრეთისაკენ და ჩრდილოეთისაკენ, ის თან რაღაცა ლოცვებს ამბობდა. მოისმა ზეციდან ანგელოზთა ხმა და დედამიწიდან კი აღმოხდა საზარელი ქვეთინი. ოსკარს ეშინოდა მაგრამ იმავე დროს აღტაცებულიც იყო.

— საიდან მოისმის ეს საიდუმლო ხმები?—ჰკითხა მან გონეტუსს.

— ჩუმად, შევილა, ეს ხმა ბოროტ სულთა ხმებია, ნუ შეეხები შენ იმათ, მიუგო საიდუმლო ხმით მოხუცმა. ეს ხმა აბა ვნახოთ ჩვენ თვით საქმე. ისინი გარეთ გამოვიდნენ. შევნიერი და წყნარი ღამე იყო, აღტაცებულმა ოსკარმა შეხედა ვარსკვლავებით მოკირწყლულ ცას.

— დასტკბი ამ მშვენიერი ღამით, უთხრა მოხუცმა, ეს ღამე უკანასკნელი ღამეა დედამიწაზე. ღამე არის ცოდვა, და მზე აღარ ამოვა ამის შემდეგ ცის კიდზე.

ისინი შევიდნენ ერთ ვიწრო ქუჩაში. აქ ვილაც კაცი ნელი ნაბიჯით მიიპარებოდა კიბეზე და თან აქეთ-იქით იცქირებოდა.

— ნუ თუ შენ ნებას მისცემ, რომ ამ კაცმა ბოროტება ჩაიდინოს, ვინ იცის, რომელ მძინარეს უნდა მოუსპოს მან სიცოცხლე,—უთხრა ოსკარმა მოხუცს.

— დამშვიდდი, ოსკარ, ბოროტება მან უკვე ჩაიდინა, ხოლო ახლა კვლავ დაუბრუნდა ის შენანების გზას და უკანვე მიაქვს ნაქურდალი.

მათ კვლავ განაგრძეს გზა. ისინი შედიოდნენ ყველგან, ხედავდნენ ყოველისფერს, მაგრამ თვით კი სხვებისთვის უჩინარნი იყვნენ.

— ეს რა ქვეთინი მოისმის, აგერ, აი იმ დიდი შენობიდან? დაეკითხა ოსკარი კვლავ მოხუცს.

— იქ კაცის მკვლელნი და ავაზაკნი ინანებენ თვის ცოდვებს. მიუგო მოხუცმა.

ისინი მოშორდნენ ამ ალაგს და მივიდნენ ახლა ერთი სახლის კარებთან. აქ თმა-გაწეწილი ახალგაზდა ქალი დაკონებოდა აკვანს და ქვეთინებდა. იქავე ახლოს ატუ-

ზულიყო ყმაწვილი კაცი და ხელებ გაშვერილი ემუდარებოდა მას რაღაცას.

— ვინ არის ეს? იკითხა ოსკარმა.

— ეს ამ ქალის მომტყუებელია, მან შეაცდინა ცოლი თვისის მეგობრისა. ახლა ქალი აკვანზე დაყრდნობილი ბაღის წინ ინანიებს დანაშაულს თავის ქმართან, და ეს ყმაწვილი კაცი კი შენანებით გაურბის ამ შევნიერ ცოდვას. ისინი გავიდნენ ახლა ერთ დიდ მოედანზე. მოედანი მთლად დაფენილი იყო სხვა-და-სხვა შევნიერი ხეებით. მრავალი კაცი და ქალი მოდიოდა ამ მოედნისკენ. აქეთვე მოდიოდნენ ჯარებიც. მათ ბაირალები გაეშალათ, უკრავდნენ მუსიკას, ამზადებდნენ ზარბაზნებს, აწყარუნებდნენ ხმლებს, იარაღის იმრგვლივ საშინელი ხმაურობა იღვა.

— რა ამბავია, გონეტუს? ჰკითხა ოსკარმა.

— ამ ხალხში, აი ამ მოედნისკენ რომ მიეშურება, არიან ქალაქის მოთამაშენი, ავაზაკნი, სისხლის მწოველნი ჯაშუშები, ხოლო სათნოების შეუჩვენელი ჯარი კი გამოსულა, რომ პირისპირ მიეგებოს მათ სიმრავლეს.

გათენდა დილა, მაგრამ მყუდროებას არა არღვევდა რა. არ მოისმოდა ქალაქის ჩვეულებრივი ხმაურობა. არც ჩაქურების ცემა ქარხნებიდან, არც ვაჭრების ყვირილი.

— რათ არის ამისთანა სიწყნარე? იკითხა ოსკარმა.

— იმიტომ, რომ ხალხს აღარა აქვს ახლა წინანდებურათ სხვა-და-სხვა არასაქირო მოთხოვნილებანი. ისინი კმაყოფილნი არიან და სხედან სახლებში უშფოთველად, წყნარად. მეპურეების წინ იღვა დაღონებული აუარებელი ხალხი. იმათ უნდოდათ ეყიდნათ პური, მაგრამ პური აღარ იყო, რადგანაც მთლად ღარიბებისთვის დაერიგებინათ უფასოდ.

ასობით უსულო გვამები ეყარა ქუჩებში.

— ვინ არიან ეს უბედურნი, იკითხა შეწუხებულმა ოსკარმა.


— ესენი არიან ჯაშუშები, მათ არჩიეს ისევ სიმშობლივით სიკვდილი, ვიდრე თავისი სამარცხვინო ხელობით ცხოვრება.

ისინი მივიდნენ ახლა მეფის სასახლესთან. აქ კარებზე აღარ იდგნენ დარაჯები. მეფეს აღარ ეშინოდა ხალხისა მას შემდეგ, რაც მისი აღარ ეშინოდა თვით ხალხს. ისინი შევიდნენ სასახლის მისაღებ ოთახში. აქ იყვნენ ხელმწიფის მახლობელნი პირნი. ერთი მათგანი დაჩოქილი ემუდარებოდა ვილაც ყმაწვილს, და თხოვდა პატივებას, რადგანაც მას ცილი დაეწამებინა მეფის წინ ყმაწვილისთვის. ისინი შევიდნენ ახლა თვით სამეფო ოთახშიაც. მეფე იჯდა ტახტზე, მის წინ თვალცრემლიანი დამხობილიყო ვილაც ქალი. „მეფევ, ნუ ჰკლავ უდანაშაულო კაცს“—ემუდარებოდა ის გვირგვინოსანს. ამ სიტყვებზე მეფის ერთი უმახლობელესი პირი ძალზე გაფითრდა. «ჩემო მბრძანებელო, წარმოთქვა მან კანკალით, მაპატივე, მე მას ტყუილად დავწამე ცილი“. მეფე თვალცრემლიანი გადმოვიდა ტახტიდან.

ოსკარი და გონეტუსი გამოვიდნენ სასახლიდან. ისინი გაემართნენ მდინარის ნაპირისკენ. აქ ოსკარი წაატყდა ქალის გვამს და შეკრთა.

— უბედური!—წარმოთქვა გონეტუსმა.

წარსულ ღამეს მან დაჰკარგა თვისი ერთადერთი სიმდიდრე-უბიწოება და აი აქ, ამ მდინარის ტალღებში იპოვა მან სამარე.



ოსკარი და გონეტუსი მივიდნენ ხიდთან. აქ ვალაც
ყმაწვილი კაცი იდგა მთლათ გაფითრებული და კანკა-
ლებდა. ის ცრემლიან თვალებს ხან ზეცას მიაპყრობდა
ხოლმე და ხან მდინარის. აშფოთებულ ტალღებს. ოსკა-
რი გაეშურა ყმაწვილისაკენ.

— ვინ არის ეს ყმაწვილი, გონეტუს? — იკითხა ოს-
კარმა.

— შორს, შორს მისგან, დაუყვირა მას გონეტუსმა.
იტორე, ოსკარ, იტორე, რომ შენ ადამიანი ხარ!

— ვინ არის ეს უბედური? იკითხა კვლავ აღელვე-
ბულმა ოსკარმა.

— მაშ აბა მოდი ახლო, მიუგო ოსკარმა, ჰხედავ
მის ჩაცვივრულ გაყვითლებულ ლოყებს? ეს ლოყები წი-
ნათ წითლათ დაჟღაჟებდნენ და ფითრდებოდნენ მხოლოთ
მაშინ, როდესაც მათ პატრონს ესმოდა ვისიმე ტანჯვა.
შეხედე მის გამხდარ და დასუსტებულ მკლავებს! ეს
მკლავები ოდესღაც ღონით იყვენ სავსენი, მაშინ ისინი
მზათ იყვენ ებრძოლათ სიმართლისთვის და თავისუფლე-
ბისთვის. ოხ, შეხედე მის საზარელ თვალებს! ისინი წი-
ნეთ ენთებოდნენ ღვთიური ცეცხლით, და ყმაწვილ ქალ-
თა გულს საამურათ ათრთოლებდნენ. ოხ, რა კეთილი
იყო ის მაშინ! მაგრამ ვინ, ვინ გაუძღვებს მაცდურებას.
ძალის მქონე მაცდურებმა შეიყიდეს ის მისსავე დასალუ-
პათ და მან გაყიდა თვისი თავი საძაგელ ფულზე და ჩი-
ნებზე. იმისი ბაგე, რომელიც წინეთ უგალობდა ძმობას
და ამხანაგობას, ახლა ატოკდებოდა ხოლმე მხოლოთ
ბოროტებისთვის. მან გაყიდა თვისი საუკეთესო მეგობა-
რი ფულზე. იმ უბედურმა გუშინ სახრზობელაზე დალია სუ-
ლი, ის უკანასკნელათ გამოემშვიდობა ამ სახიზლარს და
თხოვა გადაუხადე ჩემს მკვლევებსო. ეშმაკმა კი ამ დროს
მიაწოდა მას ფული, საღირალი თვისი მეგობრის გაცე-
მისათვის. მაგრამ აი დადგა შუალამე, ე. ი. ის წუთი,
რომელიც გამოიწვიე შენ, ოსკარ, შენი თხოვნით. სა-
შინელმა ფიქრებმა გამოაღვიძეს ის. «მე გადავუხდი შენ
მკვლევებს», შეპყვირა მან საზარლათ და გამოიქრა აი
აქ, ამ მდინარისკენ. მას უნდა იპოვოს სამარე ამ ტალ-
ღებში, მაგრამ ეშინია მისი, და ასე ტრიალებს ის ტან-
ჯვის აღში.

გაფითრებული ყმაწვილი იდგა გაუნძრევლათ ერთ
ადგილზე.

— დაიხსენ, გონეტუს, ეს ყმაწვილი სიკვდილისა-
გან, თხოვა ოსკარმა, საშინელებაა შეუნანებლათ წარ-
დგეს ის საუკუნო მსაჯულის წინაშე.

— ოსკარ, მიუგო ჯადოსანმა, აქ თავდება ჩემი უფ-
ლება, მე არ შემძლია ეს. მან დაანება ცოდვილ ცხოვ-
რებას თავი, შეუდგა მონანიებას და უნდა მოინანიოს
კიდევ.

ოსკარი ქვითინით დაემზო მოხუცის წინ.

— მაშ დაუბრუნე მას ისევ მისი ბიწიერი ცხოვ-
რება, დაიხსენ ამისთანა შენანებიდან. დაუბრუნე ხალხს
ისევ მისი ცოდვები, ვნებები, ბიწიერებანი.

ოსკარს გამოეღვიძა...

იული.

ზამთრის პირი.

(ნაწევები).

კაცო, ზამთრისა პირია,
ცივა და თანაც სუსხდება;

მრისხანეთ ცა მოღრუბლულა,
ცისა ლაყვარდი მწუხრდება!

ქარი ღიმილით ჩანგს უკრავს,
გული არ კარგავს ჰანგებსა;
მხოლოთ მდინარე დუდუნებს,
მოგვითხრობს მწარე ამბებსა!

ფრინველებს მოუწყენიათ,
მერცხლებს მოძულდათ კამარა,
მოდის წვიმა და ავდარი,
მაგრამ აღარც ეს გვაკმარა.

მღელვარე ღვარი, ნიაგი
მოჰქუხს, ზუზუნებს, მწყარალია,
აქა-იქ კლდეებს ეხლება,
ყველა ზამთრისა ბრალია!

ჩამოქცნა მთა და მინდორი,
ბორცვ-კორდი, ტყე ტიტველია;
გრძნობით აღვზნებულს არ ვყვარობთ,
ძმა ძმისა გამყიდველია.

გარემოს დუმილი იცავს,
მთა-ველი ძილს მისცემია
და ქარიშხალმა მუქარით
მთლათ აატირა მთებია!

ლ. გ. ხონელი.

ზ ი ვ ლ ი ო ვ რ ა შ ი ა.

(პ. ავალოვ. „Присоединение Грузии къ Россіи.“ СПб. 1901).

ბ-ნ ზ. ავალიშვილის წიგნს „საქართველოს რუსეთ-
თან შეერთებას“ სრულებით განსაკუთრებული ადგილი
უჭირავს იმ ურიცხვ მონოგრაფიათა და გამოკვლევათა
შორის, რომლებს გამოქვეყნება გამოიწვია საქართვე-
ლოს რუსეთთან შეერთების ასი წლის შესრულებამ. პი-
რუთვნელობა, ახუ ობიექტიური მსჯელობა, ცოცხალი
და გაბედული, ალაგ-ალაგ თითქმის სახელოვნო, ენა და
ამასთანავე ნიჭიერი გადაცემა—აი რაში მდგომარეობს
ბ-ნ ავალიშვილის შრომის უმთავრესი ღირსება. ავტო-
რის მიზანი ყოფილა—დაეხატა საქართველოს რუსეთთან
შეერთება თავისი უმთავრესი მომენტებით, ეჩვენებია ზო-
გიერთი პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს შეერთე-
ბა, და აგრეთვე ის გარემოება, რომელშიაც ის მოხდა
(წინ., გვ. IV). უნდა აღვიაროთ, რომ ბ-ნი ავალიშვი-
ლი მეტათ სინიდისიერათ ასრულებს ამ დანიშნულებას.

საინტერესოა, თუ როგორ უყურებს ბ-ნი ავალი-
შვილი საქართველოს რუსეთთან შეერთებას: „არა თან-
დათან მეცადინეობას რუსეთის დიპლომატიისას, არამედ
გამუდმებულ ძებნას რუსეთის ქვეშევრდომობისას საქარ-
თველოს მეფეების მხრით მოყვა საქართველოს შეერთე-
ბაო“, — ამბობს იგი. „შეერთების დედა-აზრი ეკუთვნის
საქართველოს, მის მეფეებს; მაგრამ როგორ უნდა შეერ-
თებულიყო ის, ეს გადაწყვიტა რუსეთმა“... აქ შეც-
დომათ მხოლოთ ის აზრი უნდა ჩაითვალოს, რომ ვი-
თომც რუსეთის დიპლომატია საქართველოს შეერთებაში
არაფერ შუაში ყოფილიყოს. ეს რომ მართალი არ არის,
საკმარისათ ჩანს თვით ბ-ნ ავალიშვილის წიგნიდან. სა-
მაგიეროთ ავტორი სამართლიანათ არკვევს იმას, თუ
როგორ უყურებდნენ შეერთებას ერთი მხრით ქართველე-
ბი და მეორე მხრით რუსეთის მაშინდელი მთავრობა. მა-
შინ როცა ქართველებს სურდათ შეერთება განსაზღვრუ-



ლი პირობით, ხელშეკრულობის სახით, რუსეთს სურდა სრული, უპირობო შეერთება, როგორც მართლაც მოხდა. თვით ავტორი იმ აზრისაა, რომ ეს ასე ჯობდა; თუმცა ამან ბევრი ტანჯვა და მწუხარება გამოიწვია და დიდი მსხვერპლიც მოითხოვა. „ასე იყო თუ ისე, საქართველოს რუსეთთან შეერთება, ბ-ნ ავალიშვილის სიტყვით, პირველისათვის იყო დიდი ნაბიჯი წინ, ხოლო მეორესთვის—მეტათ ძვირფასი შეძენა“ (წინ., გვ. VII).

თავის შრომას ბ-ნი ავალიშვილი იწყებს საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვით უკანასკნელ ათი საუკუნის განმავლობაში, რომლიდანაც მას გამოყავს შემდეგი დასკვნა: მართალია, ოდესმე საქართველოს სხვადასხვა ნაწილები ყოფილან შეერთებულნი, მაგრამ ეს ერთობა არასოდეს მკვიდრ ნიადაგზე არ ყოფილა დამყარებული, არამედ როგორც შეფერის ფეოდალურ წყობილებას, ეს ნაწილები ცალკე, განკერძოებულ ცხოვრებას არჩევდნენ. ასე რომ საქართველოს ხალხმა ვერ შესძლო ერთი ძლიერი სამეფოს შექმნა. ეს გარემოება ხელს უწყობდა მძლავრ მეზობელ ხალხთ საქართველო აეკლოთ და გაენადგურებიათ. საქართველო იყო ერთათ ერთი საქრისტიანო ქვეყანა დასავლეთ აზიის მძლავრ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ლამობდნენ მის მოსპობას და გამაჰმადიანებას. მაგრამ ამ განსაცდელის ატანა ქართველებმა შეძლეს. „სპარსელების და ოსმალების წინაშე—ამბობს ჩვენი ავტორი—ქართველები არა იშვიათათ იჩენდნენ თავს მოხერხებულ და ცბიერ პოლიტიკოსებათ აღმოსავლეთის გემოზე, მაგრამ რუსეთის წინაშე ისინი იჩენდნენ მთელ თავის გულუბრყვილობას, მთელ თავის აზრის სიმჩატეს, რაც ახასიათებს საშუალო საუკუნოებს, რომლების სარეცელიდან ისინი არასოდეს არ გამოსულან“ (გვ. 77). „ვანტანგიც და ერეკლეც, რომლებიც გამობრძნილი იყვნენ აღმოსავლეთის პოლიტიკაში და რომლებსაც შესაფერათ ეჭირათ თავი ამ დამღუბველი პოლიტიკის წინაშე, რუსეთის წინაშე მეტათ გულუბრყვილონი გამოდგნენ, რუსეთი იყო იმათ თვალში განხორციელება არა მარტო ძლივეამოსილობისა, არამედ ცოდნისა, წეს-რიგისა, სიბრძნისა, მართლმადიდებლობის სვეტი და სხვ. განა შეეძლოთ იმათ ეფიქრათ, რომ აქაც საშიში იყო, რომ აქაც შეეძლოთ დაპირება არ შეესრულებინათ?“ (გვ. 58). ერთი სიტყვით, რუსეთის პოლიტიკა, როგორც ყოველგან, აქაც მხოლოთ თავის სარგებლობას მისდევდა თავიდან ბოლომდე, რამაც ქართლკახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XIII იძულებულჰყო სამუდამოთ გადაეცა თავის სამეფო რუსეთის ტახტისათვის. ბ-ნ ავალიშვილის წიგნის უმთავრესი ნაწილი ამ გადაცემის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, შეერთების მოთხრობას შეიცავს, და უნდა ვთქვათ, ავტორს არ დაუზოგავს არაფერი, რომ ეს აწერა რაც შეიძლება საინტერესო და ცოცხალი გამოსულიყო. ავტორი ისე ხატავს ამ შეერთებას, რომ თქვენ გგონიათ, ეს ახლა, თქვენ თვალ წინ ჰდებდა და თითქო თქვენც დებულობდეთ ამაში მონაწილეობას. საქირთა თვით წიგნის წაკითხვა, რომ ყოველივე ეს დაინახო. რასაკვირველია, თაქტების მხრით ავტორს არაფერი ახალი არ უთქვამს. დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ბ-ნ ავალიშვილის შრომა, როგორც ყველაფერი ამ ქვეყანაზე, უნაკლულო არ არის. უწინარეს ყოვლისა ავტორს ეტყობა აჩქარება; აქედან წარმო-

დგა ის, რომ მას სრულებით არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მაშინდელი საქართველოს ეკონომიურ მდგომარეობისთვის. ავტორს უყვარს აგრეთვე ხშირი განმეორება. ყოველ შემთხვევაში მკითხველი ამ წიგნის წაკითხვით დიდათ ნასიამოვნები დარჩება. ვუსურვოთ ახალგაზდა ავტორს ნაყოფიერი მოღვაწეობა მის მიერ არჩეულ ასპარეზზე.

—ე.ბ.

კავკასიის გამოყენა.

VII. მეჭკეობა

ეს განყოფილება უმთავრესათ იმკვარ საგნების გამოსაფენათ არის დანიშნული, რომლებიც რძისაგან მზადდება: მაგალ: ყველი, ერბო, კარაქი, მაწონი კეფირი, კუმისი და სხვა ამგვარები, აქ კი გარდა კეფირისა და კუმისისა (ბოთლი 20 კაპ.) რძისაგან გაკეთებული არაფერი მოიპოვება. სამაგიეროთ არის გამოფენილი სხვადასხვა გვარი ძაღლები, როგორც ადგილობრივი, ძველებური, ისე გაუმჯობესებულიც. არის მატყლეულობის კოლექცია, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისაგან წარმოდგენილი; არის აგრეთვე სხვადასხვა ბროშურები ყველის გაკეთების და საქონლის მოვლის შესახებ და სხვ.

უფრო საყურადღებოა ბათუმის საყასბოსთან არსებული პატალოგო-ანატომიური კაბინეტისაგან წარმოდგენილი საქონლის ავადმყოფობის ნიმუშები, სანთლისგან დამზადებულნი. იქვეა სპირტში ჩაწყობილი ნამდვილი ავთომყოფი ხორცის ნაჭრებიც. რომ უფრო თვალსაჩინო იყოს დასწეულებული ნაწილი, თანვე ახლავს სალი ეკზეპლიარიც. აქვეა გამოკიდული ფოტოკრაფიული სურათები თითოეული საყურადღებო მომენტისა ხსენებულ საყასბოში: მაგალითათ, საკლავი საქონლის წაქცევა, დაკვლა-გატყავება, და სხვ.

ხედავთ, დგას საცოდავი პირუტყვი წამკლავებული კაცის წინაშე; ხედავს სისხლიან დანას, ხედავს, რომ მისი ამხანაგები ზოგი ჩანგლებზე ჰკიდია, ზოგი უსულოთ გდია, ყელ-გამოჭრილი, ზოგსაც აღმასივით მახვილი დანა ყელთან ადგას. მაგრამ უცებ წვდება მძლავრი ხელი პირუტყვთა ჯალათისა, და გონება დაბნეული ოთხვეწი მიწაზე ეცემა. აქ ხედავთ როგორ გაწოლილა საბრალო ხარი, როგორ გაუწვდია კისერი, და წამკლავებული ხელი ბასრი მახვილით ყელის გამოჭრას ლამის... დანა კისერზე ადევს. სურათი იცვლება... ხედავთ ხარის თავი ცალკე გდია სისხლში ამოსვრილი; უსულო გვაში კი იატაკზეა და რამოდენიმე „კაცი“ ტყავს ხდის. გაცხარებულ მუშაობა... აი ტყავიც გახადეს და ერთი ბარკალიც ჩამოჭრეს. ჩქარა პირუტყვისაგან მარტო სისხლი და დარჩა იმ ადგილას, სადაც ცოცხალი ოთხვეწი იდგა. აი სისხლიც გადარეცხეს და იმ საზარელი მოქმედების მოწმეებათ მარტო ჩანგლებზე ჩამოკიდული სისხლიანი ხორცის ნაჭრები დარჩნენ. შექდევ ყოველივე ამისა თითოეულმა ნაწილმა პირუტყვისამ მრავალ გვარი ოპერაცია უნდა გადიტანოს, სანამ ანტრიკოტის ან კატლეტის სახით თქვენ წინ გამოცხადდება, ხოლო დანარჩენი მისი მსუფელობა ყველამ კარგათ უწყის.

რადგანაც ადამიანთა უმეტესობა ხორცის მკამელთა ჯგუფს ეკუთვნის, ამიტომ ამ მასალის მოთხოვნილება

ერთობ ღიღია. ამას ცხადთ გვიმტკიცებს ის ორი ტომარა, რომლებიც გამოხატულია ბათუმის საყასბოსაგან წარმოდგენილ ცნობის ქაღალდზე. ერთი იმ ტომართაგანი ნიშნავს შემოსავალს 1900 წლისას და გაცილებით ღიღია მეორეზე, რომელიც ხარჯს გვიჩვენებს. პირველს აწერია 20.113 მან. 50 კაპ. მეორეს კი 3.760 მან. შევნიშნავთ, რომ ორივე ტომარას თავი მაგრათ აქვს მოკრული. ამავე დაწესებულებას წარმოუდგენია სამი ჩონჩხი: კამეჩის, ღორის და ხუთრქიანი ცხვრის.

ქუთაისის საყასბოსაც გამოუფენია ერთი სისხლიანი სტოლის და სამი იმერლის სურათი. ტომარების შესახებ არაფერია. ან დაეწყებით, ან არა და გამოსაჩენი არ ყოფილა.

VIII. შინაური პირუტყვები.

ეს განყოფილება უმეტეს ნაწილათ ცალიერია. აქა-იქ მოიყვანენ და დაბაჟენ რამოდენიმე შინაურ ცხველს. პირველათ გამოიყვანეს ძაღლები და ბოლოს კი ცხენები. დანარჩენ პირუტყვებს უთუოთ შემდეგში გამოათვინენ.

წერილი ბათომიდან.

დღეს, 23 სექტემბერს, კრება გაიხსნა აქაური ქართული სკოლის კომიტეტის თაოსნობით. მოწვეული იყვნენ სკოლის დარბაზში მოსწავლეთა მშობლები და მზრუნველები. ეგონებ ეს პირველი მაგალითია, რომ აქაურ კომიტეტს მოეწვიოს ამავე სკოლის მოსწავლეთა მშობლები. თუ რამდენათ გული შესტივა და აინტერესებს ქართული სკოლის ბედ-იღბალი აქაურ ქართველ საზოგადოებას, ეს იქიდან ჩანს, რომ ვეებერთელა სკოლის დარბაზი ისე იყო გაქვდილი ხალხთ, რომ ტევა არ იყო. განსახილველი იყო შემდეგი კითხვა: ვინაიდან წელს მოსწავლეთა რიცხვი ორასზე მეტია და ორი მოსწავლელი ვერ აუღის მათ, საჭიროა მესამე მოსწავლელის მოწვევა; ამ მოსწავლელის მოსაწვევათ კი კომიტეტს ნივთიერი საშუალება არა აქვს და ამიტომ გამოიძებნოს რაიმე საშუალება ან მუდმივი წყარო მესამე მოსწავლელის დასაქირავებლათ.

როგორც ვიცით, ამ საგანზე აქაურმა მოსწავლეებმა მიმართეს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგებებს, მაგრამ მან კომიტეტზე მიუთითა: „კომიტეტს მიმართეთო“, და ყოძიტეტმა კი დღევანდელი კრება მოიწვია.

კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ-ნმა გრ. ვოლსკიმ, რომელმაც აუხსნა დამსწრე საზოგადოებას კრების მიზანი, თუმცაღა მისი სიტყვებიდან საზოგადოების უმრავლესობამ ნათლათ ვერ გაიგო, თუ რაისათვის იყო მიწვეული, რადგან ბ. თავმჯდომარე საგანს გარს უვლიდა, ხშირათ იმეორებდა ერთ და იმავეს და თვით საგანზე კი სულ ცოტას ლაპარაკობდა. მან დაახლოვებით შემდეგი აზრი წარმოთქვა: „სკოლა საჭიროებს ნივთიერ დახმარებას, კომიტეტს დღითი დღე უძნელდება მისი მოვლა-პატრონობა, ვინაიდან შემოსავალია იკლო და საჭიროებამ კი იმატაო, ამიტომ უმორჩილესათ ვთხოვ საზოგადოებას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს კომიტეტს. ეს დახმარება შეიძლება გამოიხატოს ერთი მხრით იმაში, რომ თქვენ უნდა ჩაეწეროთ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრათ და მეორე მხრით

უნდა დაედოს მოსწავლეებს გარდასახადი სწავლის ფული სისხით; ეს ფულები უნდა ჩაბარდეს კომიტეტს, რომელიც იზრუნებს სკოლის კეთილდღეობისთვის ისე პირნათლათ, როგორც დღემდე ზრუნავდაო და თუ შეძლება გვექნება, მესამე მოსწავლელსაც მოვიწვევთო“... ერთმა საზოგადოების წევრთაგანმა შენიშნა ბ. თავმჯდომარეს, რომ ჩვენ სიამოვნებით ვიკისრებთ ყველა საჭირო ხარჯს და წევრთაც ჩავეწერებით, მაგრამ სასურველია მიეცეს ნება ბათუმის ქართველ საზოგადოებას დაავალოს კომიტეტს ყოველწლიური ანგარიშის წარმოდგენა და კომიტეტის ამორჩევაც ადგილობრივ „წერა-კითხვის საზოგადოების“ წევრებს მიენდოს, თუ გვინდა, რომ მეტი ნდობა დაიმსახუროს კომიტეტმა საზოგადოების თვალშიო. ამაზე ბ. თავმჯდომარემ შემდეგი პასუხი მისცა საზოგადოებას: „ეს შენიშვნა სამართლიანია, მე შესაძლებლათ მიმაჩნია წლიური ანგარიშის მიწოდება საზოგადოებისთვის, მაგრამ არა ოფიციალურათ, არამედ შინაურულათო; რაც შეეხება კომიტეტის ამორჩევის უკულებას, ეს წესდების ძალით შეუძლებელიაო“. შემდეგ ადგა ამავე სკოლის მოსწავლელი ბ. ის. რამიშვილი, რომელმაც მქვერმეტყველურათ განუმარტა დამსწრე საზოგადოებას ეხლანდელი მდგომარეობა და მიზანი კრებისა. მან აუხსნა საზოგადოებას ქართული სკოლის მნიშვნელობა ბათომში და პირველდაწყებითი სწავლება დედინის საშუალებით. შემდეგ დასძინა: წელს იმდენი შეგირდი მოაწყდა სკოლას, რომ ბევრს უადგილობისა გამო უარი ვუთხარიოთო, მაგრამ რაც მივიღეთ ისიც მეტი აღმოჩნდა, ასე რომ ეხლა სწავლობს ქართულ სკოლაში ორას ოცდახუთი ბავშვი. რასაკვირველია, ამდენ ბავშვებს ორი მოსწავლელი ვერ გაწვდება და ამიტომ საჭიროა ან უნდა მოვიწვიოთ მესამე მოსწავლელი, ან ორმოცი შეგირდი სკოლიდან დავეთხოვოთო; უკანასკნელს, რასაკვირველია, პირველი ჯობია, მაგრამ საქმისაა, რომ ამისათვის ფულია საჭირო და აი დღეს ამ საგნის გადასაწყვეტათ ხართ თქვენ მოწვეული. დღევანდელი ჩვენი მიზანია, გამოვინახოთ საშუალება, რომლითაც შეიძლებოდეს მესამე მოსწავლელის მოწვევა. მე ჩემი მხრით, განაგრძო პატივცემულმა მოსწავლელმა, სხვა საშუალება ვერ აღმოვაჩინე, გარდა იმისა, რომ შემოღებულ იქმნას სწავლის ფასი, თუმცაღა ეს არ არის სასურველი, მაგრამ გარემოებამ გვაძულა ამ უკიდურეს საშუალებაზე მიგვეთითებია საზოგადოებისთვის. ვთხოვ საზოგადოებას დაადგინოს, რომ საეაღდებულოთ იქმნას შემოღებული სწავლის ფული წლიურათ თითო შეგირდზე ხუთი მანეთი, ხოლო ღარიბთა შვილები და მაჰმადიანები განთავისუფლებულ იქმნას ამ გადასახადიდანო. ეს აზრი საზოგადოებას ძლიერ მოეწონა და ხმის უმეტესობით დაადგინა: «გადახდეს თითოეულ მოწაფეს, გარდა ღარიბთა და მაჰმადიანებისა, წლიურათ ხუთი მანეთი და ამ ფულით დღესვე იქმნას მოწვეული მესამე მოსწავლელი». თხოვეს ბ. თავმჯდომარეს ოქმის შედგენა და აღნიშვნა შიგ კრების დადგენილების. თავმჯდომარე შეუდგა ოქმის წერას. როცა თხოვეს, ისიც აღნიშნეთ ოქმში, რომ წლიური ანგარიშის წარმოდგენა იკისროს კომიტეტმაო, მან ლაკონურათ უპასუხა: «რა საჭიროა». ბ. თავმჯდომარემ დაამთავრა ოქმის წერა. ჯერ შეჩერდა, თითქო წაკითხვაც ეძნელებოაო, მაგრამ შემდეგ, რო-



გორც იყო, წაიკითხა ოქმი. საზოგადოებაში დრტვინვა გაისმა: „ოქმი არ ვარგაო“. ბ. თავმჯდომარეს ისე კი არ ჩაეწერა ოქმში საზოგადოების დადგენილება, როგორც ამ უკანასკნელმა დაადგინა, არამედ ისე, როგორც კომიტეტს სურდა. აი ნიმუში: „დავადგინეთ: გადახდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლის ფული არა უმეტეს ხუთი მანეთისა და ეს ფული მოხმარდეს სკოლის საჭიროებას, ხოლო თუ გადაჩნა, მესამე მასწავლებელიც მოვიწვიოთო“. საზოგადოების უმრავლესობამ პროტესტი განაცხადა თავმჯდომარის ამნაირ საქციელზე და თხოვეს ოქმის შესწორება, მაგრამ ბატონმა თავმჯდომარემ ისევ ლაკონიურათ უპასუხა: „ჩა საჭიროა“ (!), თუ შეძლება გვექნება, იქნება მეოთხე მასწავლებელიც მოვიწვიოთო.

ამნაირათ, ის საგანი, რომლისთვისაც იყო მოწვეული საზოგადოება, კომიტეტმა სათუთად აღიარა: მესამე მასწავლებელი არსად არის, ხოლო შეგირდებს კი შეაწერეს ხუთ-ხუთი მანეთი წლიური გადასახადი. აი თუ გინდა საქმის გაკეთება ამას ჰქვია! თუ ასე სურდა დალოცვილ კომიტეტს, საზოგადოებას რაღას იწვევდა, მის უმისოდაც შეეძლო ასე მოქცეულიყო.

საზოგადოების უმრავლესობა უკმაყოფილო გამოვიდა სკოლის დარბაზიდან და არც ოქმზე მოაწერა ხელი.

დამსწრე.

პროტექციონიზმი, ანუ მფარველობითი სისტემა *).

პროტექციონიზმი, ანუ მფარველობითი სისტემა, მდგომარეობს იმაში, რომ სასჯელმწიფო ან სრულიად კრძალავს საზღვარ-გარეთიდან რომელიმე საქონლის შემოტანას, ან არა და ავიწროებს მის გავრცელებას თავის ტერიტორიაში დიდი ბაჟის დადებით. ბაჟის დადებით მთავრობა კრძალავს აგრეთვე დაუმუშავებელი მასალის გატანას, — იმ მასალის, რომელიც, მისი შესადგულებით შენ უნდა დამუშავდეს. ბაჟი რომ შიდა იცოდნენ, მაგრამ იქ ამ ზომას მართლაც ფისკალური ხასიათი ჰქონდა, ე. ი. ბაჟი სასჯელმწიფო შემოსავლის ერთ წყაროთაგანი იყო. ბაჟი არ უნდა აღმატებოდეს საქონლის ფასის 5%-ს. XV საუკუნეში, ამერიკის აღმოსავლეთის შემდეგ, რომელსაც გაძლიერდა გაჭრება, აღორძინდა მრეწველობის ასალი დატვირთვა და საქონლის გაცვლა-გამოცვლაში პირველი ალბი დაიჭირა ფულმა, ამ „საქონლის მსოფლიო ენამ“, — გამომიხეჭა ის ერთმსწავი ეკონომიური შესადგულება, რომელსაც ეწოდება მერკანტილური სისტემა და რომელიც თეორიულათ შეამუშავეს მხოლოდ მე-XVII საუკუნეში. დასასჯელბული სისტემა სიმიდობის პირველ და უკანასკნელ წყაროთ აღიარებს ფულს. რა მეტი ფული დატვირთულიყო სასჯელმწიფოში, დიდ შედეგათ აღიქვდნენ საქონლის გამტანს, ხოლო მის საზღვარ-გარეთიდან შემომტანს კი ავიწროებდნენ დიდი ბაჟის საშუალებით. ბაჟი არ ედებოდა მართლ დასამუშავებელ მასალას და საწარმოო იარაღებს. მერკანტილიზმის ის შედეგი მოყვა, რომ, თუმცა სასჯელმწიფოში ფულის რაოდენობა მოთხოვნილებას აღმატებოდა, მაგრამ სამაგეროთ სანოვანებში იყო, სასმარო ნივთების ფასმა შესამჩნევათ აიწია, ხოლო თვით ფულის ღირებულებამ კი შესამჩნევათ იყო; როგორც მე-

დამ, სანოვანის სიმიდობა დასცა მეშის ხელ-ფასი, რის გამოც ჩამოკარდა შიმილი; ამან კი მთავრობა იძულებულ ჰყო სანოვანის საზღვარ-გარეთ გატანა შეკვიწროებისა. ამ რიგათ მერკანტილიზმი სრულიად უსაფუძვლო სწავლა გამოდგა. სიმიდობის ფული კი არ შეადგენს, არამედ ღირებულების რაოდენობა. მერკანტილიზმის შემდეგ მერკანტილიზმში დამყარდა რა თეორია: ე. ი. თავისუფალი ვაჭრობისა და პროტექციონიზმისა. პირველი თეორიის მომხრეა ინგლისი, ხოლო მეორეა ასე თუ ისე ყველა დანარჩენი სასჯელმწიფოები. თავისუფალი ვაჭრობის თეორია შექმნეს ფიზიოკრატებმა, რომლებიც სიმიდობის ერთადერთ წყაროთ მერკანტილიზმს აღიარებდნენ.

პროტექციონიზმის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა ცდილობს, რათა ერმა, რაც შეიძლება, მეტი საქონელი შექმნას, თვითონვე დაამუშავოს იგი ნამეტურათ, ე. ი. არამედ თუ საკუთარი ბაზარი დაკმაყოფილდეს, არამედ მსოფლიო ბაზარზედაც გაიტანოს თავისი საქონელი. ერთი სიტყვით, ყოველი ერი უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება მეტი საქონელი გაზიდოს საზღვარ-გარეთ, ნაკლები კი შემოიტანოს. ამ სახით პროტექციონიზმმა შეარჩინა მერკანტილიზმის ქვა-კუთხედი-ფული. პროტექციონიზმის შესადგულებით, იდეალურია ის სასჯელმწიფო, რომელიც ეკონომიურათ თავისუფალია, ე. ი. ან სრულიათ არა შემოაქვს-რა მსოფლიო ბაზრიდან ან სულ ცოტა.

გავითვალისწინეთ რა მფარველობითი სისტემის დედა-აზრი, მოვიღებამარგათ მის ღირსება-ნაკლებუკანებაზე. აი რა საბუთები მოყვით მის მომხრეებს: 1) ყველა სასჯელმწიფოები ერთსა და იმავე დროს არ გამოსულან მრეწველობის ასპარეზზე, — ზოგი მათგანი მეტათ არის დასჯელბული მასალის შექმნა-დამუშავებაში, ზოგი კი — ან სრულიათ არა, ან მცირეთ. ამის გამო ერთი, რომელიც შედარებით გვიან ჩაება მრეწველობაში, გერავითარ კონკურენციას ვერ გაუწევს ტენიკურათ უფრო დაწინაურებულ ერს, თუნდ პირველის სამშობლო ხელსაც უწყობდეს მრეწველობის რომელიმე დარგის აღორძინებას. ამიტომ საჭიროა მთავრობამ დიდი ბაჟის დადებით შეავიწროვოს სხვა-და-სხვა საქონლის შემოტანა. მფარველობითი ტერიფი უნდა იმ დრომდინ გერმედედეს, სანამ ერთი შეიძლება მეტოქეობა გაუწიოს თავის მოპირდაპირეს.

მაგრამ მრეწველობის დასახურვით და მის გასაძლიერებლათ არის სხვა, უფრო გონიერი და კულტურული ზომები: გავრცელება სალხში სწავლა-განათლებისა საზოგადოთ და კერძოთ ტენიკური ცოდნისა; დარბება სალხში გაუმჯობესებულ მანქანა-იარაღების; დაარსება მუზეუმების და გამოფენების მოწეობა. თუ როგორი სისწრაფით მიდის მრეწველობა წესიერათ მოწეობილ სკოლების საშუალებით, — ამის ცოდნალი მაგალითია გერმანია, სადაც, იანუელის სიტყვით, მრეწველობის ყუავება იმის შედეგია, რომ საშუალო და მაღალი სპეციალური სატენიკო სასწავლებლები ძლიერ ბეჭდის *). ესევე აზრი გამოთქვა ამერიკელმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოეკვია მიხეხები გერმანიის მრეწველობის განვითარებისა. გერმანია, ამავე კომისიის სიტყვით, ბეჭდით წინ გაუსწრობს მრეწველობის კლასიკურ ქვეყნას, ინგლისს, და ასლაც დიდ მეტოქეობას უწევს გერმანიას ინგლისის მსოფლიო ბაზარზე.

*) ჩვენ სახესობით არ ვეთანხმებით ამ წერილის ავტორს, ე. ი. ჩვენ გვწამს პროტექციონიზმის მაგნე მხარეები, მაგრამ იმავე დროს, მფარველობითი სისტემა არათუ აუცილებელ საფერუს შეადგენს მრეწველობის განვითარებაში, არამედ ქვეყნის ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ საფერუსზე ის სასარგებლოა. რედ.

**) როგორც იანუელი, ისე ამ წერილის ავტორი აქ ძლიერ ცდება, რადგანაც გერმანიის მრეწველობის აღორძინებას პირველ ხანებში დიდათ შეუწეო ხელი მფარველობითი სისტემამ. რედ.

2) მფარველობითი სისტემა, ამბობენ მისი მომხრენი, აფართოებს შრომის ასპარეზს, ე. ი. სახლი და რგი მრეწველობისა, რომელიც იმყოფება მთავრობის მფარველობის ქვეშ, მეტ სიმუშაოს უზენს ხაღსს და მით ამცირებს სიღატაკისა. ეს ძალიან გარკვეა, თუ ვიწმინდვით ასე ხდება, თუმც ეს დიდთ საუკუნა. კაპიტალისტები, სარგებლობენ რა იმ შემთხვევით, რომ უცხო ფაბრიკანტები ვერ უწევენ მათ ვერცხითარ გონგურენცას, მამასისხლათ უდიან თვის საჭონელს და ამ რიგათ, მფარველობითი სისტემა ნადვილ დედობას უწევს მსოფოთ მდიდრებს, სოფო დედინაცვლობას ხაღსის მომეტებულ ნაწილს. თუმცა ზევითა ვთქვით, რომ ზრტუქციონიზმი აღომინებს მრეწველობას ახალ დატებს, მაგრამ ეს იმას ვი არ მოასწავებს, რომ ფაბრიკების აბსოლუტიური რიცხვიც მატულობდეს. ხშირათ ახლათ აღომინებულ დარგი აქრობს უკვე არსებულ დარგს.

მფარველობითი სისტემა მსოფოთ მამინ გაფართოებს შრომის ასპარეზს, როდესაც სასკლემწიფოში კაპიტალი მოტარებით არის და, ვერ მოუზოვებია რა საწარმოოო საქმე, უცხოეთში გადადის. თუმცა ეს ასეა, მაგრამ ინგლისი და ბელგია, საიდანაც კაპიტალი საქართველოშიაც ვი გადავიდია, მაინც ზრტუქციონიზმის წინააღმდეგნი არიან. კაპიტალი მამინ არის სასარგებლო სასკლემწიფოსათვის, როდესაც იგი, რაც შეიძლება, მეტ ღირებულებას აქმნის. აი რას ამბობს მფარველობითი სისტემის შესახებ გამომჩინილი კონომისტი მილლი: „მთავრბამ მსოფოთ მამინ უნდა აღმოუჩინოს მფარველობა მრეწველობას, როდესაც მის განვითარებას ხელს უწყობენ ბუნებითი პირობები და როდესაც მოკლე ხანში მინ დამეშავებული საქმეები სრულ მეტოქეობას გაუწევს გარედან შემოტანადს“. როგორც დავინახეთ, ვერც მეორე არტუმიტი გამოდგა საფუძვლიანი.

ნ. ახმეტელაშვილი.
(დასასრული იქნება)

ქართული თეატრი.

გასულ კვირას ქართულ თეატრში წარმოდგინეს „ირინეს ბედნიერება“, სცენები სოფლის ცხოვრებიდან, 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა და „პირველი ბუჩი“, კომ. 3 მოქ., გ. დ. მოკ. ვ. გუნას მიურ. საზოგადოთ ამ სკოლის ქართულ წარმოდგენების შესახებ უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენები გარკნობით უკეთ არის მოწეობილი, მოქმედებანი იწეობიან თავ-თავის დროზე, და წესიერებაც მეტია, ვინემ წინეთ. თვით პეისები ვი თავის შინაარსით და იდეით მიმხიდეული არ არიან. ბ. კლდიაშვილის პეისა „ირინეს ბედნიერება“ ამ დღეს პირველათ ითამაშეს. ჩვენი აზრით ეს პეისა სცენისათვის არ არის დაწერილი და არც მისი დადგმა ღირდა სცენაზე. მას აღბათ ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი თავდა-ზნაურობის გასაწნის გამომხატველს; აგრეთვე „ირინეს ბედნიერება“ გვეუბნება ჩვენ, თუ რა არის სასაღვანდელო ბედნიერება, როცა მას ძალდატანებით მომბლება ათსოვრებს, მარტო იმასთვის, რომ საქმრო დიდი გვარის კაციაო. მაგრამ სცენაზე ეს ყოველავე უხერხულათ და გაჭიანურებულათ გამოდის: მათეობული ვერ ხედავს ვერც მოქმედებას, ვერც სიტუაციას, ვერც ხასიათებს; გესმით მსოფოთ გაჭიანურებული აღზარავი ერთ და იმავე საგანზე, ამიტომ თუმც პეისა დიდი არ არის, მაგრამ თქვენ მაინც გბეზრდებათ ვუბრება. დაუმატოთ ამას ის გარემოება, რომ არტისტები სრულებით შეუფერებელი იყვენ ამ პეისისათვის, გარდა ქნ კარ-

გარეთელისა და ბ. შათირიშვილისა. უმეტესათ ჩვენ გვეუბნება მ. გელევანიშვილი როგორ დათანხმდა დარბაისელი იმერელი თავადიშვილის როლის ასრულებას. ჩვენ ვაფრთხილებთ ჩვენ არტისტებს, რომ თავიანთ ნიქს ასე შეუბრალებლათ ნუ მოექცევიან, თორემ იმასაც დაკარგვენ, რაც აქვთ. ბ-ნი სვიმონიძე (ახესალო საღამოთაძის როლი) საზოგადოთ ისეთი იყო, როგორც არის; ამ პეისში მისი თამაშობის ნაკლს თვით პეისის ნაკლუდევენებით ვხსნიოთ. სწორე მოგასხსნოთ, მთელი ის სცენა, როცა ახესალი კლავს ირინეს, ყოველად წარმოუდგენელი და გაუკებააა, იგი რაღაც სცენიური უხერხულობის ნიმუშია.

რაც შეეხება „პირველ ბუჩს“, იმას რომ პირველათ არ თამაშობენ ჩვენ სცენაზე. ამ საღამოსაც საერთოთ კარგათ ითამაშეს, განსაკუთრებით ბ-ნი გუნამი (რანდამე), ქნმს კარგარეთელმა და ტასო აბაშიძემ. ბ-ნი ვ. აბაშიძე, ჩვენი აზრით, ვერ იყო თავის ადგილას: გაქცეულ იმერელი საღვანდის როლს მისი ნიჭი რამ არ შეუფერის ეს აშკარაა. დანახებებსაც არა უშავდათ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქნო რედაქტორო! უმოხნილესათ ვთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პეტრიტემულ ვაზ. „კვალის“ ერთ მასალებულ ნომერში და მით მომცეთ შეძლება ერთ ფრიად საუყრადღებო საქმე გამოკარგვიო: საქმე იმამია რომ, ამ რამდენიმე წლის წინეთ ჩვენი საზოგადოების—ზასვის ერთი პეტრე ვუთსის მცხოვრებლებმა, რიცხვით ომომცაძე, რომლებიც ერთი ღრმა ღელის გამო საზოგადო გზატკეცილზე მოწვევტილნი იყვნენ, დადგინეს გავეუბინებინათ მასე ქვის სიდი. ამ საქმის სასრულეში მოუვანა ბბ. იავორ აღუქსის მეტელმეს და მელიტონ ანდღულაძეს მივანდევიო. წელიწად რასკარზე მეტია რაც ეს სიდი დამთავრდა. მაგრამ ეტეობა, რომ დრე თუ გვიან ეს ჩვენი თავ ნაკლავი სიდი ჩაიშლება. კვ ვიდევ არაფერი, საქმე ის არის, რომ დღესდის ამ საქმეზე მომსდარი ხარკის ანგარიში ზევით დასახელებული პირებიდან არ მიგვიღია, თუმცა თსოვნა-მუდარა არ დაკვივლია. არ ვიცით რის მიზეზია, რომ ეს ხატონები ანგარიშის გამოქვეყნებას გაუბიან. როგორც ვიცით მცხოვრებლებიდან სვედრი ფული უკვე შეგრებილია და ჩაბარებული. ამას გარდა არც ის უნდა დაკვიფოთ, რომ ამ საქმეში ბევრმა კარმო პირებმა ამოგვიბინეს ფულით შემწეობა. ნუ თუ არ უნდა ვიცოდეთ ვინ არიან ეს პეტრიტემული პირნი, რომ სიტუიერი მადლობა მაინც გადავიხადოთ! ნუ დაივიწყებენ არჩეულ პირები, რომ ყოველი საზოგადო საქმე თავად დანახულ საზოგადო ანგარიშს ითხოვს, და ჩვენ ამ კვარ ანგარიშზე ვლანა-რავობთ.

რუის პირელი.
რედაქტ.-გამომც. შ. თ.-წერეთლისა.

გამოვიღა და იყიდება **ლიქნები და პოემაი** ი. კვლო-შვილისა, მეორე შევსებული გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და იმხ. ფასი **ათი შაშრი**. ვინც ათ ცალზე მეტს გამოიწერს, წიგნი დაეთობა 25% დაკლებით. ადრესი: **Редакция „Квали“, Г. Цулукидзе.**